თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №10

თბილისი,

13 ოქტომბერი, 2016

სხდომა დაიწყო 18.00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- კომისიის მდივანი – იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი წაქაძე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი ზვიად ოქროპირიძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი ლანა ხუნაშვილი;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

– ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

– „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“ – გიორგი ახვლედიანი;
– „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
– „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – მამუკა ტუსკაძე.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – ნატაშა როტჩაილდი;
– აშშ-ის საელჩო – ხათუნა ჭითანავა;
– „ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია“ (OSCE/ODIHR) – ენირა ბრონიტსკაია;
– USAID – ხათუნა კუნჭულია.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
– „სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრი“ – ნინო ჩარკვიანი;
– „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ანა გურიელი;
– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე;
– „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – ლელა ტალიური;
– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ნატალია ხოხიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. **ძალადობის ფაქტები:**

- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილ-აჯლოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და საარჩევნო ბლოკის – „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ – მომხრეების 48-ე საარჩევნო უბანზე შეჭრისა და საარჩევნო ყუთის გატაცების მცდელობის თაობაზე;

- სამეგრელოში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში, 79-ე და 108-ე საარჩევნო უბნებზე უცხო პირთა შეჭრის თაობაზე;

- ქუთაისში, სულხან-საბას გამზირზე, 90-ე საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერებს შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით;

- 11 ოქტომბერს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ვაზისუბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი აბუსერიძის შტაბთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერებს შორის მომხდარი ინციდენტის თაობაზე;

- თეთრიწყაროში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორის მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე.

2. **ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვა:**

- ბოლნისის 23-ე საარჩევნო ოლქში, სოფელ ტალავერში, საარჩევნო უბანზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სამირა ისმაილოვას წარმომადგენლების მიერ ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვის თაობაზე.

3. სხვადასხვა.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა ქართველ ხალხს მიულოცა დემოკრატიული და გამჭვირვალე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, ხოლო ამომრჩევლებს მშვიდობიან პირობებში გააზრებული, ინფორმირებული და თავისუფალი არჩევანის გაკეთება. როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, ყველა პარტია, ერთეული გამონაკლისების გარდა, მიიჩნევს, რომ საარჩევნო გარემო იყო შეუდარებლად უკეთესი, ვიდრე რომელიმე წინა საპარლამენტო არჩევნების დროს. ქალბატონმა თეამ მიულოცა გამარჯვებულ პარტიებს ბარიერის გადალახვა და დაამატა, რომ, სამწუხაროდ, რამდენიმე რაიონში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა პარტიის მხარდამჭერთა მხრიდან აბსოლუტურად

მიუღებელ ქცევას და ძალადობის ფაქტებს, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა ის კარგი პროცესი, რაც მთლიანობაში სახეზე იყო საარჩევნო პერიოდში.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სპეციალური დანიშნულების რაზმს, რომელმაც მშვიდობიანად დაიცვა საარჩევნო უბანი და საარჩევნო ყუთი მარნეულში იმ მოქალაქეებისგან, ვინც საარჩევნო უბანზე შეჭრასა და საარჩევნო ყუთის გატაცებას აპირებდა. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მეორე ტური გაიმართება 50 უბანზე და არჩევნების მეორე ტურის ბევრად უკეთეს პირობებში და მშვიდობიან გარემოში ჩატარების იმედი გამოთქვა. ქალბატონი თეა წულუკიანი მიესალმა პროკურატურის გადაწყვეტილებას ჯიხაშკარსა და მარნეულის ინციდენტებში მონაწილე პირებისათვის პრევენციის მიზნით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის თაობაზე, რადგან არჩევნების მეორე ტურისთვის შესაძლოა, საფრთხის შემცველი იყოს ამ პირების გარეთ ყოფნა.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სხვადასხვა პარტიის ამომრჩევლები თვლიან, რომ მათ პარტიას უნდა მიეღო მეტი ხმა, მაგრამ ხალხმა არჩევანი გააკეთა, ამ რეალობას კი სჭირდება თვალის გასწორება და ამ რეალობის ფარგლებში შემდგომი საქმიანობის გაგრძელება. მან დამსწრეებს გააცნო დღის წესრიგში შემავალი საკითხები, რომლებიც, ძირითადად, მედიამონიტორინგის შედეგად იყო მოძიებული. საკითხთა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ეთმობოდა მარნეულში, ჯიხაშკარსა და ქუთაისში მომხდარ ინციდენტებს.

დღის წესრიგში შემავალ საკითხებთან ერთად ქალბატონმა თეა წულუკიანმა ყურადღება გაამახვილა ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტებზე, შეეხო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას და მაგალითად მოიყვანა დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის (ცეზარ ჩოჩელი) მფლობელობაში არსებული ერთ-ერთი კომპანიის მხრიდან საჯარო სკოლისთვის გადარიცხული შემოწირულობის საკითხი. თემასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ, კომისიის შემადგენლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურად ჩართვის მიუხედავად, სამსახურის წარმომადგენელი სხდომებს არ ესწრება. კომისიის თავმჯდომარემ, ასევე, დაამატა, რომ პროკურატურა, უმეტეს შემთხვევაში, ელოდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სათანადო გადაწყვეტილებას, რათა დაიგეგმოს საგამოძიებო ორგანოს შემდგომი ნაბიჯები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა და აუდიტის სამსახურის მხრიდან სწრაფი რეაგირება, რომ პროკურატურის საქმიანობას ხელი არ შეეშალოს.

შემდგომ სხდომის დამსწრეთათვის ნაჩვენები იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილ-აჯლოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და საარჩევნო ბლოკის – „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ – მომხრეების 48-ე საარჩევნო უბანზე შეჭრისა და საარჩევნო ყუთის გატაცების მცდელობის თაობაზე ინციდენტის ამსახველი ვიდეო.

კომისიის თავმჯდომარის შეფასებით, ეს არის ქვეყნის და მისი მომავლის წინაშე ჩადენილი გაუმართლებელი და დასაგმობი ქმედება. შემდგომ დამსწრეებმა მოისმინეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ბატონი შალვა ხუციშვილის, ინფორმაცია, რომლის თანახმადაც,

მარნეულში პოლიციელები მოქმედებდნენ ძალზე თავშეკავებულად და ცდილობდნენ სიტუაციას განმუხტვას. მიუხედავად ამისა, მოხდა პოლიციელებზე თავდასხმა, რის შედეგადაც მარნეულის პოლიციის უფროსს, ეთნიკურად აზერბაიჯანელს, მიღებული აქვს ყბა-სახის სერიოზული მოტეხილობები და მოთავსებულია საავადმყოფოში.

როგორც ბატონმა შალვა ხუციშვილმა აღნიშნა, მარნეულში თავად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ აჰმად იმამყულიევის მხრიდანაც ჰქონდა ადგილი აქტიურ მოწოდებებს საარჩევნო ყუთის გარეთ გამოტანის თაობაზე. ეს იყო ვითარება, რომელიც სავსებით შესაძლებელია, დასრულებულიყო ყველასთვის და, პირველ რიგში, ქვეყნისთვის საზიანო შედეგით. სწორედ ამიტომ ამ მოწოდებებისა და ეგზალტირებული ხალხის მასის არსებობის ფონზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რამდენიმე ტიპის სპეციალური დანიშნულების რაზმის ადგილზე გაგზავნის შესახებ, რასაც უნდა მოეხდინა ფსიქოლოგიური გარდატეხა შეკრებილ მოსახლეობაზე სიტუაციის განმუხტვის და დამატებითი გართულებების თავიდან აცილების მიზნით. სპეციალური დანიშნულების რაზმს ჰქონდა მკაცრი ინსტრუქცია, არ გამოეყენებინა არანაირი იარაღი, მათ შორის, არც ფარები და ხელკეტები, რომ ამას არ მოჰყოლოდა მოსახლეობის გაღიზიანება და არ გამოეწვია რაიმე სახის აგრესიული (ძალადობრივი) ქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებითაც.

ბატონი შალვა ხუციშვილის განცხადებით, ოპერატიული საგამოძიებო ქმედებების შედეგად დადგენილ იქნა ინციდენტში მონაწილე პირების ვინაობა, ხოლო რაც შეეხება მათ დაკავებას, შინაგან საქმეთა სამინისტრო შეგნებულად დაელოდა საარჩევნო პროცესის პირველი ტურის აქტიური ციკლის დასრულებას და პირთა დაკავების შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაიწყო რაციონალურად, პროპორციულად და გონივრულად იმ დროს, რომ მეტ-ნაკლებად თავიდან აეცილებინათ პოლიტიკური შეფასებების გაკეთება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ასევე, აღნიშნა საინტერესო ფაქტი იმის შესახებ, რომ სპეციალური დანიშნულების რაზმის დახმარებით დაკავებული ექვსი პირიდან ერთი მათგანის მხრიდან ადგილი ჰქონდა შეიარაღებული რაზმისათვის ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევასა და თავდასხმის ფაქტს. ეს, მისი თქმით, ამყარებს ვარაუდს, რომ დაკავებულები თავდაჯერებულნი და წაქეზებულნი იყვნენ გარეშე პირების მიერ.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დილიდან საზოგადოება ინფორმირებული იყო დაკავებულთა გადაყვანის ზუსტი ადგილსამყოფელის შესახებ, როგორც ამას კანონით განსაზღვრული ვალდებულება ითვალისწინებს; არსებობს შესაბამისი სატელეფონო გასაუბრების ოქმებიც, თუმცა, კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის მიერ მაინც ხდებოდა მანიპულირება დაკავებულთა გადაყვანის ადგილსამყოფელის არცოდნის თაობაზე.

მთავარი პროკურორის მოადგილის, ბატონი გიორგი გაბიტაშვილის, ინფორმაციით, მარნეულის მუნიციპალიტეტში შეტაკების დროს ფიზიკური დაზიანებები მიიღო არა მარტო პოლიციის უფროსმა, არამედ სხვა პოლიციელებმაც. გამოძიება დაიწყო სსკ 162[1]-ე მუხლით, თუმცა, გამოძიების მიმდინარეობისას გამოიკვეთა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის

ნიშნების შემცველი ქმედების სხვა კვალიფიკაციები. ამ ეტაპზე გამოძიება მიმდინარეობს და პირები დაკავებულნი არიან სსკ 163-ე მუხლით (საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა) და 353-ე მუხლის მეორე ნაწილით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ, ჩადენილი ჯგუფურად). ამ ეტაპზე გრძელდება ვიდეოფირების დათვალიერება ინციდენტში მონაწილე სხვა პირების იდენტიფიცირებისა და ორგანიზატორის დადგენის მიზნით. პროკურატურა დაკავებული 6 პირის მიმართ სასამართლოს მიმართავს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით.

კომისიის თავმჯდომარემ ფაქტთან დაკავშირებით დამატებით კომენტარი გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, გეგმას, რომ ქვეყანაში ყოფილიყო დაძაბული სიტუაცია და მომხდარიყო მთავრობის გადატრიალება, წერტილი დაესვა და დამნაშავე უნდა დაისაჯოს კანონის სრული სიმკაცრით.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა სიტყვა გადასცა ბატონ დანიელ დავითაშვილს („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი"), რომელმაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოში ჩატარებული არჩევნები რეგიონში ყველაზე მაღალ დონეზე ჩატარებულ არჩევნებად შეაფასა. ბატონი დანიელი, ასევე, შეეხო მარნეულის 48-ე საარჩევნო უბანზე მომხდარ შემთხვევას და ისაუბრა ინციდენტის ზოგიერთ დეტალზე.

ამის შემდგომ სიტყვა მოითხოვა ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია"). მან კითხვა დასვა იმის თაობაზე, რომ მარნეულის ინციდენტთან დაკავშირებით დაკავებული პირები ორგანიზატორები იყვნენ, თუ, უბრალოდ, შემსრულებლები. მისი აზრით, აღნიშნული პირების დაუკავებლობა მეორე ტურში მსგავსი ინციდენტების განმეორების საფრთხეს შექმნიდა.

ბატონი გრიგოლის შეკითხვას გამოეხმაურა მთავარი პროკურორის მოადგილე, ბატონი გიორგი გაბიტაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ გამოძიება გრძელდება და ორგანიზატორთა გამოვლენის მიზნით ტარდება ღონისძიებები. ბატონი გიორგის თქმით, ორგანიზატორის გამოვლენის შემთხვევაში, მოხდება მისი დასჯა კანონის სრული სიმკაცრით.

„ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა" – გიორგი ახვლედიანმა მოითხოვა სიტყვა და შევიდა კონფრონტაციაში ბატონ გიორგი კალანდარიშვილთან (ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი). კერძოდ, ის ითხოვდა, ცესკო-ს ეთქვა, აპირებდა თუ არა ხმების გადათვლას სხვადასხვა უბანზე. ბატონი გიორგი ახვლედიანის ყვირილმა და პროვოკაციულმა ქმედებებმა თავმჯდომარის შენიშვნები გამოიწვია. ის არ დაემორჩილა შენიშვნებს, წამოდგა, მივიდა ცესკო-ს წარმომადგენელთან და მას უკვე ადგილზე, ქაღალდებით ხელში, უყვიროდა და ითხოვდა მისგან პასუხს. ამის შემდეგ ბატონმა გიორგი ახვლედიანმა დატოვა სხდომა.

საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებულ ვითარებაზე საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სიტყვა გადაეცა ბატონ გიორგი კალანდარიშვილს (ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი). მისი განცხადებით, ამ ეტაპზე საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში 969

საჩივარი იყო შესული და თითქმის ყველა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ უკვე დასრულებული იყო გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. მან, ასევე, აღნიშნა, რომ ზოგიერთი გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში. ბატონი გიორგის თქმით, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საჩივარი დაკმაყოფილდა; სულ გაბათილდა 10 საარჩევნო უბნის შედეგი, რომელთაგან 4 საარჩევნო უბანზე 2 კვირის ვადაში ჩატარდება განმეორებითი კენჭისყრა (სავარაუდო თარიღი – 22 ოქტომბერი); ხოლო მე-2 ტურის ჩატარება, არსებული მონაცემებით, 50 მაჟორიტარულ ოლქში იგეგმება (სავარაუდო თარიღი – 30 ოქტომბერი).

მიხეილ (გელა) სალუაშვილმა („ზვიადის გზა – უფლის სახელით") თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე, სადაც პერიოდულად იცვლება მონაცემები, ერთ-ერთი ცვლილება შეტანილ იქნა 12 ოქტომბერს (შესწორებები კრწანისის მე-7 ოლქის №07.04.02 საარჩევნო უბნის და ბათუმის 69-ე საარჩევნო ოლქის №69.79.06 საარჩევნო უბნის მონაცემებში). მისი თქმით, ორივე საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმებში განხორციელებული შესწორება კანონშეუსაბამოა. მან მაგალითად მოიყვანა ბათუმის 69-ე ოლქის შემთხვევა, როცა შესწორების ოქმი უფრო ადრეა შედგენილი, ვიდრე შემაჯამებელი ოქმი, რაც, მისი აზრით, მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას. ბატონმა მიხეილმა (გელა) იქვე დაამატა, რომ მისი პარტიის მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის განცხადებით მიმართვის მიუხედავად, კანონის საფუძველზე პარტიას არ აქვს შესაძლებლობა, გაასაჩივროს აღნიშნული ოქმები, ვინაიდან ორივე შესწორების ასახვა ვებგვერდზე განხორციელდა 12 ოქტომბერს. შესაბამისად, გაშვებული იყო საარჩევნო საოლქო კომისიებში გასაჩივრების კანონით გათვალისწინებული ორდღიანი ვადა.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა (ცენტრალური საარჩევნო კომისია) აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, აღნიშნული საჩივარი დარჩებოდა განუხილველი, ვინაიდან ცენტრალური საარჩევნო კომისია არ განიხილავს შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებულ საჩივრებს – მათი გასაჩივრება უნდა მომხდარიყო შესაბამის საოლქო კომისიებში კანონით დადგენილი ვადების დაცვით. სხვა შემთხვევაში, თუ კომისია გამონაკლისს დაუშვებდა, ეს გახდებოდა სხვა პარტიებისთვისაც პრეცედენტი და გამოიწვევდა მთელი რიგი ვადების დარღვევას და პროცესის უსასრულოდ გაგრძელებას.

ქალბატონი თეა წულუკიანის განცხადებით, ბატონი მიხეილის (გელა) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება უსამართლო ქმედების ნიშნები, რაც საჭიროებს შესწავლას, და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა გამონახოს რაიმე საშუალება ზემოაღნიშნული ოქმების განსახილველად საკითხის დაუყოვნებლივი და საფუძვლიანი შესწავლის მიზნით.

მომდევნო საკითხად განხილულ იქნა სამეგრელოში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში, 79-ე და 108-ე საარჩევნო უბნებზე მომხდარი ინციდენტები. მთავარი პროკურორის მოადგილემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქმის ვითარება. მან აღნიშნა, რომ პირთა გარკვეული ჯგუფი საარჩევნო დღის ბოლოს შეიჭრა 79-ე და 108-ე საარჩევნო უბნებზე. ინციდენტთან დაკავშირებით მიმდინარეობს ორი დამოუკიდებელი გამოძიება სსკ 163-ე მუხლით, რაც გულისხმობს საარჩევნო კომისიის მუშაობაში ხელის შეშლას. ბატონი გიორგი გაბიტაშვილის

განცხადებით, გამოძიებამ დაადგინა ინციდენტში მონაწილე პირები, რომელთაგან დაკავებულია ორი. ერთ-ერთს (79-ე საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით) სასამართლომ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, ხოლო 108-ე უბანზე მომხდარ შემთხვევაში მონაწილეს შეეფარდა არასაპატიმრო გირაო 10 000 ლარის ოდენობით. პროკურატურის მიერ სასამართლო გადაწყვეტილება გირაოს შეფარდებასთან დაკავშირებით გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნულ ინციდენტზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს იყო სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ყოვლად უპასუხისმგებლო ქმედება. ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ, როგორც იუსტიციის მინისტრმა და რიგითმა მოქალაქემ, ბოდიში მოუხადა ყველა იმ საერთაშორისო თუ ადგილობრივ დამკვირვებელს, რომლებზეც განხორციელდა თავდასხმა, და მიესალმება იმ მოსამართლის ქმედებას, რომელმაც პატიმრობა შეუფარდა ბრალდებულს, ვინაიდან ეს უნდა გახდეს პრეცედენტი და მაგალითი შემდგომში მსგავსი ქმედებების პრევენციისათვის. მეორე პირთან დაკავშირებით მან იმედი გამოთქვა, რომ სააპელაციო სასამართლო აღკვეთის ღონისძიების სახეს (არასაპატიმრო გირაო) შეცვლიდა პატიმრობად.

ჯიხაშკარში მომხდარ შემთხვევებზე კომენტარი გააკეთა ქალბატონმა ნინო რიჟამაძემ („სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" წარმომადგენელი). როგორც მან აღნიშნა, 79-ე საარჩევნო უბანზე მყოფი მათი დამკვირვებელი შეესწრო ფაქტს, როცა ათამდე პირი შეიჭრა შენობაში, საერთაშორისო დამკვირვებლებს მიაყენეს შეურაცხყოფა და დაუზიანეს მობილური ტელეფონები. დამკვირვებლის განცხადებით, საარჩევნო უბანთან უმოქმედოდ იდგა პოლიცია. თავდასხმის შემდგომ, როცა პოლიციის შენობაში გადაიყვანეს დამკვირვებლები, პოლიციის მხრიდან ერთ-ერთი ქალი დამკვირვებლის მიმართ გაკეთდა არაეთიკური (გენდერულ ჭრილში) კომენტარები.

ბატონი შალვა ხუციშვილის განცხადებით, პოლიციის მხრიდან შესაძლო არასათანადო ქმედებასა და პოლიციის ეთიკის კოდექსის შესაძლო დარღვევაზე მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში. დაიკითხება ყველა პირი და გამოძიების შედეგები გახდება საჯარო.

ჯიხაშკარის 108-ე საარჩევნო უბნის შემთხვევაზე ისაუბრა ქალბატონმა ლელა ტალიურმა („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი). მისი განცხადებით, როგორც ამ უბანზე მათი დამკვირვებელი გადმოსცემს, საარჩევნო უბანზე შეიჭრა ათეულობით ადამიანი, ხოლო გარეთ 50 კაცამდე იყოს შეკრებილი. მას აინტერესებდა, მოხდება თუ არა სხვა სამართალდამრღვევი პირების იდენტიფიცირება და სათანადოდ დასჯა, თუ მხოლოდ ამ ორ პირზე შეჩერდებოდა გამოძიება.

მთავარი პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს გამოძიება, მოხდება ყველა მონაწილე პირის იდენტიფიცირება და გატარდება შესაბამისი ზომები.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა დაამატა, რომ პოლიცია ცდილობს, დააკავოს არა მხოლოდ უშუალოდ შემსრულებლები, არამედ მომხდარის ორგანიზატორები.

ჯიხაშკართან დაკავშირებით თავისი მოსაზრება დააფიქსირა ბატონმა მამუკა ტუსკაძემ („დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია"), რომელიც არ დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებებს პოლიციის უმოქმედობასთან დაკავშირებით. იგი შეეხო მარნეულში (ყიზილ-აჯლო) მომხდარ ინციდენტსაც და დამსწრე უწყებებს მოუწოდა, დაინტერესებულიყვნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ აჰმად იმამყულიევის ქმედებით.

დღის წესრიგის თანახმად, კომისიამ იმსჯელა ქუთაისის 90-ე საარჩევნო უბანთან მომხდარ ინციდენტზე, რომელიც კომისიის თავმჯდომარემ უარყოფითად შეაფასა და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდა დროული რეაგირებისკენ.

ბატონი გიორგი გაბიტაშვილის განცხადებით, მიმდინარეობს გამოძიება სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება). გამოძიების ფარგლებში, იკითხებიან მოწმეები და დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები, რომელთა შემდეგადაც დადგინდება ზიანის ოდენობა და, შესაბამისად, იყო თუ არა სახეზე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, იკვეთება თუ არა დანაშაულის ნიშნები, თვითონ ფაქტი არის დასაგმობი; ასეთი შემთხვევები არჩევნების პროცესს აზიანებს და საჭიროა სწრაფი მოქმედებები, რათა მსგავსი შემთხვევა მეორე ტურისთვის არ განმეორდეს.

შემდგომ ქალბატონი თეა წულუკიანი შეეხო 11 ოქტომბერს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ვაზისუბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი აბუსერიძის შტაბთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მხარდამჭერებს შორის მომხდარი ინციდენტს.

ფაქტთან დაკავშირებით შს მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ გამოძიება დაწყებულია, იდენტიფიცირებულნი არიან ინციდენტში მონაწილე პირები და დაიკითხნენ როგორც ისინი, ისე შემთხვევის თვითმხილველი პირები. ბატონი შალვას განცხადებით, საგამოძიებო ორგანოების მიერ ამ საქმის შესწავლა უახლოეს პერიოდში დასრულდება.

შემდეგი საკითხი შეეხო თეთრიწყაროს შემთხვევას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კოორდინატორის მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე. მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ განაცხადა, რომ შემთხვევას არ ჰქონდა კავშირი არჩევნებთან. მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერს არჩევნებამდე (4 ოქტომბერს) მოუვიდა სიტყვიერი შეკამათება ერთ-ერთ მოქალაქესთან, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მხარდამჭერთან. 11 ოქტომბერს, ღამის საათებში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფნი ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"

წარმომადგენელი ამბობს, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და მან მედიასაშუალებებს მიმართა პრევენციისთვის, რათა მომავალში არ განხორციელებულიყო მასზე თავდასხმა რაიმე ფორმით.

კომისიის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამომრჩევლების შესაძლო მოსყიდვის ფაქტების გამოძიებას და პროკურატურას მიმართა თხოვნით, დაკავშირებოდნენ აუდიტის სამსახურს და გამოეძიათ შესაბამისი შემთხვევები. მან მაგალითად მოიყვანა ბოლნისის 23-ე საარჩევნო ოლქში, სოფელ ტალავერში, საარჩევნო უბანზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სამირა ისმაილოვას წარმომადგენლების მიერ ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვის შემთხვევა. მთავარი პროკურორის პირველის მოადგილის განცხადებით, საქმეზე მიმდინარეობს ფაქტების შესწავლა, თუმცა, ამ ეტაპზე არსებული წინასწარი შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მოქალაქის მოსყიდვის ფაქტი არ დასტურდა.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა ასევე აღნიშნა, რომ არჩევნების დღეს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში" მოქმედებდა ცხელი ხაზი, რომელზეც 70-მდე ზარი შევიდა და უმეტესი მათგანი შესაბამისი საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის გარკვევას შეეხებოდა. შემოსული ზარების გარკვეული რაოდენობა განეკუთვნებოდა მოქალაქეების პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა თუ პასპორტის არქონის შემთხვევებს.

ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" წარმომადგენელი) თავის გამოსვლაში ისაუბრა საუბნო კომისიებში არსებულ ხარვეზებზე. საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა მომზადების დაბალ დონესა და არაკვალიფიციურობაზე ყურადღება გაამახვილა ბატონმა დანიელ დავითაშვილმა „(პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი"), რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის წევრების მოუმზადებლობაზე მეტყველებს ოლქების უმეტესობაში შემაჯამებელი ოქმების სრული დისბალანსი.

ქალბატონმა ხათუნა ჭითანავამ (ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენელი) მადლობა გადაუხადა კომისიას არჩევნების წარმატებულად ჩატარებისთვის; ამასთან, ყურადღება გაამახვილა 8 ოქტომბრის არჩევნების პროცესში გამოვლენილ რამდენიმე ფაქტზე. ერთ-ერთი შეეხებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის მომზადების დაბალ დონეს, რაც, ძირითადად, გამოიხატებოდა პროცედურების არცოდნით. ქალბატონმა ხათუნამ იმედი გამოთქვა, რომ მომავალი არჩევნებისათვის ეს საკითხი აუცილებლად გათვალისწინებული იქნებოდა. ასევე, მისი თქმით, პოლიციას მეტი აქტივობა მართებდა რიგ უბნებზე და მოუწოდა მეტი ქმედითობისკენ. მანვე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ჯიხაშკარში მომხდარ ინციდენტებში მონაწილე ყველა პირის იდენტიფიცირება და კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს ნეიტრალური და მიუკერძოებელი შეფასებებისთვის, რომლებშიც აღინიშნა წლევანდელი არჩევნების დემოკრატიულ გარემოში ჩატარების ფაქტი. იგი დაეთანხმა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს და აღნიშნა, რომ ამ კუთხით ეფექტური ქმედითი ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო მომავალი არჩევნებისთვის.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს მობრძანებისა და გაწეული შრომისათვის.

მომდევნო სხდომა დაინიშნა 2016 წლის 20 ოქტომბერს, 18:00 საათზე, რის შესახებაც კომისიის სამდივნო კომისიის სხდომაზე დამსწრეთ წინასწარ ინფორმირებას უზრუნველყოფდა.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – მამუკა ტუსკაძე.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე;
- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – ლელა ტალიური;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე.

სხდომა დასრულდა 20.30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი: